# ცნობის ფურცელი

V წ. ყოველდღიური გამოცემა კვირა-დღეების შემდეგაც.— ხუთშაბათი, 11 მაისი 1900 წ. № 1121

**გაზეთის ფასი:** წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში ვანქის ქ., № 27, წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. კანცელარიაში და წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

**რედაქცია** იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტირუსოვის სახლი № 27.—ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე კვირა-უქმეების გარდა 11 საათიდან 1-ლ საათამდე. (შუადღითა).
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“—„Моамбе“.
ტელეფონი № 372.



## ფარსული ფლების ჟურნალი
## „მოამბე“

გაიყიდება შემდეგ ფასებად: 1894 და 1895 წ. წ.—შვიდ-შვიდ მანეთად და 1896, 1897 და 1898 წ. წ.—ხუთ-ხუთ მანეთად. ხოლო 1899 წ. «მოამბე» 1900 წ. ხელის მომწერთათვის ეღირება ხუთი მანეთი.

ქალაქ გარეშე მცხოვრებთ თითო წლის ჟურნ. «მოამბის» ფოსტის ხარჯათ 60 კაპ. უნდა გამოგზავნონ. ჟურნ. „მოამბის“ ადრესი: Тифлисъ, въ редакцію журнала „Моамбе“.

## პარიზის გამოფენაზე წამსვლელთა საყურადღებოდ

პარიზში ნამცხოვრები და ფრანგული ენის მცოდნე ქართველი ჰკისრულობს გაჰყვეს პარიზის მსოფლიო გამოფენის ნახვის მსურველს და სათანადო დახმარება გაუწიოს გამოფენისა და თვით ქალაქის ღირს-შესანიშნავ დაწესებულებათა დათვალიერების საქმეში. იგივე ჰკისრულობს იქითობას ან აქეთობას დაათვალიერებინოს ევროპის სატახტო ქალაქები.—ადრესისა და სასყიდლის შესახებ პირობათა შეტყობა შეიძლება „მოამბე“-„ცნობის ფურცლის“ რედაქციაში. (რ 0—13)

## სახალხო სეირნობა
### საქველმოქმედო ბაზრითურთ

«ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების» სასარგებლოდ განზრახულია გაიმართოს მაისში. შემოწირულებათა წარმოგზავნა ამ ბაზრისათვის შეიძლება კნ. ოლღა თადეოზის ასულს ჭავჭავაძესთან, ნიკოლოოზის ქუჩა, № 21. (ნ. 0—34)


## ახალი ამბავი

—

✦ 1 მაისს ხელმწიფე იმპერატორს წარუდგა კავკასიის მთავარ-მართებელი თავ. გ. ს. გოლიცინი.

✦ „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წევრთა წლაური კრება 30 მაისისათვის არის დანიშნული.

✦ **კავკასიის სამეურნეო საზოგადოების წევრთა კრებამ** სამშაბათს, 9 მაისს, ვერ დაამთავრა განხილვა დანიშნულ საგნებისა და გადადვა სხდომა პარასკევის, 12 მაისისათვის.

✦ გურია-სამეგრელოს საეპარქიო სამოსწავლო საბჭოს უთხოვნია კავკასიაში ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოების საბჭოსათვის იკისროს ამ უკანასკნელმა თავის ხარჯით შენახვა ქაქუთის (ოზურგეთის მაზრა) **სამრევლო სკოლისა**. საზოგადოებას შეუწყნარებია საეპარქიო საბჭოს სარჩიელი. მასწავლებელს ჯამაგირად ექმნება 300 მანეთი, ხოლო სამღრთო სჯულის მასწავლებელს 100 მანეთი.

✦ კვირას, 14 მაისს, სახალხო კითხვათა სადგომში, ავჭალის ქუჩაზე, გაიმართება ბ-ნ შათირიშვილის რეჟისორობით **ქართული სახალხო წარმოდგენა**. წარმოდგენილი იქნება „პარიზელი ბიჭი“ კომ. 2 მოქმ., თარგმ. დ. ერისთავისა. წარმოდგენაში მონაწილეობას იღებენ ქ.ქ. საფაროვ-აბაშიძისა და ჩერქეზიშვილისა. წარმოდგენის შემდეგ ნაჩვენები იქნება ბუნდოვანი სურათები მიწის ძვრის შესახებ.

✦ ამ თვის დამლევს საზღვარგარეთ მიდის აგრონომი **თავ. ი. ზ. ანდრონიკაშვილი**, რომელსაც სამიწად-მოქმედო სამინისტრომ დაავალა მეურნეობის მდგომარეობის შესწავლა-გამოკვლევა დასავლეთ ევროპაში და ალჟირშიაც.

✦ რუსეთი და უმეტესად მისი განაპირა ადგილები, როგორც, მაგალითად, კავკასია, თურქესტანი და ციმბირი მეტად მდიდარნი არიან **მცენარეულობით**. ხე-მცენარეების აღწერა მრავლად არის გაფანტული ლიტერატურაში, მარამ არ არსებობს ერთი სახელმძღვანელო ან წიგნი, სადაც შეგროვილი იყოს ცნობები და აღწერილობა მთელის რუსეთის ფლორისა.' ამ ნაკლის შესავსებად ხელმწიფე იმპერატორმა, „პრავიტ. ვესტნიკის“ სიტყვით, ბრძანა: მიენდოს აკადემიკს ს. ი. კორჟინსკის შემუშავება შრომისა რუსეთის ფლორის შესახებ, რისთვისაც მას მიეცემა 21,400 მანათი მასალის შესაგროვებლად და შრომის გამოსაცემად. შრომა გაყოფილი იქნება ოთხ ნაწილად: ფლორა შიდა რუსეთის გუბერნიებისა, ციმბირისა, თურქესტანისა და კავკასიისა.

✦ სადგურ მოლითზე **მიწის ზვავი** ჩამოწოლილა და ბაქოს მხარეზე წვიმებს ლიანდაგი გაუფუჭებია; ამიტომ ამიერ კავკასიის რკინის გზაზე შეწყდა რიგიანი მიმოსვლა მატარებლებისა.

✦ გუშინ, 10 მაისს, რუსეთის **ფოსტა** ტფილისში არ მოსულა.

✦ **სოფ. საგარეჯოდან** (გარეთ-კახეთი) გვწერენ: ჩვენ საგარეჯოელებს ყველაფერი გვაქვს, მაგრამ არაფერი კი არა გვაქვს. მაგალითად, გვაქვს ბიბლიოთეკა, მაგრამ ვაი ამისთანა ქონებას! არა ჰყავს წიგნების ყურისმგდებელი, და ისე ღვთისანაბარათ არის მიგდებული. წიგნების წაკითხვის მსურველნი ბევრნი არიან. თუ ღმერთმა ჰქნა, და ვინმემ გაალო ბიბლიოთეკის კარები და წიგნი წაიღო, კარგათ იცის, რომ არც არსად ჩასწერენ, არც არავინ მოჰკითხავს, და რჩება ისე წიგნი მკითხველს საუკუნოდ. ასე წარმოიდგინეთ, ერთ კაცს ვერ ნახავ ისეთს, რომ კითხვა იცოდეს და იმას სახლში ბიბლიოთეკის 7—8 წიგნი არ ჰქონდეს. თუ ჰკითხე, რათ არ უბრუნებ წიგნს ბიბლიოთეკასო, ასე გიპასუხებს,—ვინ არის მომკითხველიო და ვის დავუბრუნოვო. ყველა ამ აზრისა არ იქმნება, მაგრამ უმეტესი იმ აზრისანი არიან, რომ წამოვიღოთ როგორმე წიგნები და შეგვრჩებაო. ერთი სიტყვით, ჩვენი სამკითხველო უკიდურესს მდგომარეობაშია. ერთი დღე რომ ეძებო გასაღები ბიბლიოთეკისა, ძლივს საღამოს იპოვი: უნდა მიხვიდე ჯერ მასწავლებელთან; ის გეტყვის, ექიმმა წაიღოვო; ექიმი გეტყვის, გ—მა წაიღოვო; გ—შვილი ა—თან გგზავნის, ა—შვილი კი გულკეთილად გაძლევს გასაღებს და გეუბნება, წაიღე, მე არ მცალიან, გამოიტანე, რაც წიგნი გინდა, მაგრა ჩაჰკეტე და გასაღები გინდა მე მომიტანე და გინდა მასწავლებელს ან სხვასაო. ისიც მიდის არჩევს კარგ წიგნებს, მიაქვს და აღარ მოაქვს. აი, ასე არის ჩვენი ბიბლიოთეკის საქმე და წინ წავა, მაშ რა იქმნება! დიახ, წინ წავა, ასე რომ ზაფხულამდის ერთი წიგნიც აღარ გვექმნება. ნუ თუ კეთილი კაცების ნაღვაწი და დანერგილი ასე უყურადღებოდ უნდა გავაქროთ?! თუ მასწავლებელი ბ-ნი გაბელაშვილი არ იზარებდა შრომას და მართავდა კეთილად და სვინდისიერად სამკითხველოს საქმეს და დროც ჰქონდა, რატომ იმის მოადგილე არ შემოხედავს საზოგადო საქმეს?!.

---

### იმერეთის თავად-აზნაურთა კრება

(6 მაისი).

კრება გაიხსნა დღესასწაულის გამო 1 საათზე. კრებამ განიხილა თ. **სოლომონ ლეონიძის** წინადადება შესახებ იმისა, რომ, რადგან მიწების გამიჯვნის დროს ხაზინის წარმომადგენელნი უსაფუძვლოსა და ურიგო დავას აცხადებენ ხოლმე და ამით ადგილობრივ მცხოვრებთ დიდს ზარალს აძლევენ, ვითხოვთ ჯეროვანის წესით უმაღლესის მთავრობის წი-

ნამე—დაევალოს ქუთაისის გუბერნიის სახელმწიფო ქონებათა მმართველობას წინდაწინვე შეკრიბოს ცნობები იმის შესახებ, თუ რომელი ადგილები შეადგენენ, მისის აზრით, ხაზინის საკუთრებას და გამიჯვნის დროს მხოლოდ იმ ადგილებთა შესახებ იქმნას განცხადებული დავა, რომელთა შესახებ ეგრეთი ცნობები წინდაწინვე იქმნება შეკრებილი და არ დაუქვემდებაროს ეგრეთი მძიმე საგანი თავისს მოხელეთა უადგილო თვითნებობას.

თავდა პირველადო, ნათქვამია ამ მოხსენებაში, ქუთაისის გუბერნიის სახელმწიფო ქონებათა მმართველობას მოჰყავდა ხოლმე ცნობაში ის ადგილები, რომელზედაც ხაზინას ჰქონდა რაიმე საფუძვლიანი უფლება და მხოლოდ ამ რიგად განსაზღვრულის ადგილების შესახებ აცხადებდა დავას. 1897 წლის 26 მაისს, როგორც მოგეხსენებათ, უმაღლესად დამტკიცებულ იქმნა სახელმწიფო საბჭოს აზრი კავკასიის აქეთა მხარეში მიწათა გამიჯვნის შესახებ. ამის შემდეგ სახელმწიფო ქონებათა სამმართველომ წინანდელ გზას აუხვია და სადაო ადგილები აღარ მოჰყავდა ცნობაში. ამით სარგებლობენ ხაზინის აგენტები და წარა-მარად, სრულიად უსაფუძვლოდ აცხადებენ დავას გამიჯვნის დროს ამა თუ იმ ადგილის შესახებ და სარგებლობენ იმით, რომ ხაზინამ კიდევაც წააგოს, არავითარ ზარალს არ იხდის. ეს კი მთელის ქვეყნისათვის მეტად საზარალოა, მით უმეტეს, რომ რაკი ადგილის შესახებ დავაა განცხადებული, ამ ადგილში მისის ფაქტიურის მფლობელის უფლებანი შეზღუდულია. ამგვარად უსაფუძვლოდ განცხადებული დავა, ამ დავის გათავებამდის, მფლობელს სარგებლობას ართმევს და დავა კი გასტანს ხოლმე 10—15—20 და ხანდისხან მეტსაც. ამაზე უარესი კიდევ ის არის, რომ ხაზინის წარმომადგენელნი ედავებიან ყველას, და ამგვარად ადგილის საკუთრების დამტკიცება მოწმების ძალით არ შეიძლება, რადგან პროცესის კანონის ძალით მოდავე მხარეს ნება აქვს გადააყენოს მოწმობიდან ის პირი, რომელსაც მასთან დავა აქვს, ხაზინას კი ყველასთან დავა აქვს ჩვენში. მაშასადამე, ვინც უნდა დაასახელოთ მოწმედ, ის უთუოდ გადააყენებს. ყველა ამის მიზეზით, წინადადების აზრით, საჭიროა ზემოხსენებული შუამდგომლობა აღვსძრათ.

**თ. ნიკ. თაყდგირაძე.** სწორედ მეტად მწვავე საგანია და ვისაც ჩვენის ცხოვრებისთვის თვალ-ყური უდევნებია იცის, თუ რა ზიანი მოაქვს ამ მოქმედებას ხაზინისას ჩვენთვის. ხაზინა არავითარ ჯარიმას არ იხდის საქმის წარმოებაში, არაფერი ეხარჯება, ჩვენ კი პროცესსის ხარჯმა გადაგვიტანა და ძალა-უნებურად ვკარგავთ უკანასკნელს სარჩო-საბადებელს და ადგილ-მამულს. ამიტომ ჩვენ უნდა ვითხოვოთ, თანახმად წინადადებისა, რომ ხაზინამ მხოლოდ მაშინ განაცხადოს დავა, როცა აქვს რაიმე უფლება. თუ მაინცადამაინც ეს არ მოხერხდება, ხაზინამაც ისე იზარალოს საქმის წაგებით, როგორც კერძო პირი ზარალობს. ეს ხომ პროცესსის პირობაა, რომ ორივე მონაწილე ერთგვარ გარემოებაში იყოს ჩაყენებული.

**მოს. ქიქოძე.** აქ სადავო არაფერია, მხოლოდ საქმე იმაშია, მაგ შუამდგომლობას რა ფორმა მიეცეს. ჩემის აზრით, მაგას საჩივრის ფორმა მივსცეთ, რადგან კანონი ყველას კანონიერს უფლებას იცავს; ჩვენ უფლებას კი გვირღვევენ, ამიტომ უნდა უჩივლოთ, ვინც ჩვენს უფლებას გადაგვიილახავს.

კრებამ ერთხმად მიიღო აღსძრას შუამდგომლობა თ. ს. ლეონიძის წინადადების დაგვარად და დეპუტატთა საკრებულომ თვით შეიმუშავოს ფორმა შუამდგომლობისა.

—

კრებას მოხსენდა **გ. ბ. ღოღობერიძის** მოხსენება იმის შესახებ, რომ მოემატოს ჯამაგირი დეპუტატთა საკრებულოს მოხელეთ და შეიცვალოს აწ არსებული შტატები იმგვარად, რომ მდივანს საკრებულოსას მიეცეს 1800 მანეთი, მის თანაშემწეს 900 მან.; ჰყავდეთ გუბერნიის და მაზრის მარშლებს მდივნები და მწერლები, რომელთაც დაენიშნოს შესაფერი ჯამაგირი. ყველა ეს ხარჯი 10,900 მანეთამდის ადის, ასე რომ თითქმის 8000 მანეთი ემატება დღეინდელს ხარჯს დეპუტატთა საკრებულოსათვის გაწერილს თავად-აზნაურობაზე. საზოგადოებაში გაისმის აქა-იქ უსიამოვნების ხმა: „სადა გვაქვს შეძლება კიდევ გარდასახადი მოვიმატოთ, უიმისოდაც დაღუპული ვართ“.

**თ. თაყდგირიძე.** როგორც ვხედავთ, ზოგიერთს წევრს საზოგადოებისას არ მოსწონს ეს წინადადება. ეს უთანხმოება ზოგიერთისა გამოწვეულია მით, რომ ბ. თავმჯდომარემ არ მიიღო ერთი ზომა. ამის შემდეგ განირჩევა საგანი სახელმწიფო ბეგარის შემცირებისა და ამ საგნის შესახებ ფრიად ვრცელი და დასაბუთებული მოხსენება წაეკითხება საზოგადოებას. რომ ბ. თავმჯდომარეს უწინ ეს საგანი დაეყენებინა, უთუოდ საზოგადოება ეხლა აღძრულ საგანსაც სხვა-გვარად მოეკიდებოდა. ბევრი ამგვარი მძიმე საგანი გვაქვს, რომლის გარჩევა და შემუშავება გვჭირია. კაცები კი არა გვყავს მომუშავე. ჩვენი რჩეული კაცები ვერ აკმაყოფილებენ მრავალ მხრივ მოთხოვნილებას ჩვენის საზოგადოებისას, რადგან არა აქვთ საკმაო ცოდნა. მცოდნე კაცებს კი ვერ მოვიწვევთ იმიტომ, რომ თითქმის ყველანი ღარიბი ვართ და მცირე ჯამაგირისთვის ვერავის ვერ ვაკისრებინებთ თავისი თავი განიწიროს ჩვენთვის. ყველასაგან არ მოითხოვება გმირული თავ-განწირულება. საჭიროა საქმე ისე მოეწყოს, რომ მცოდნე კაცთ შეეძლოთ გვემსახურონ და თავისი ძალ-ღონე მოგვახმარონ. ამგვარის ზომით რამდენიმე ათასი მანეთი მოგვემატება გარდასახადი, მაგრამ სამაგიეროდ ორი იმდენი სარგებლობა გვექნება.

**ბ. ივ. დუმბაძე.** ბ-ნი გ. ღოღობერიძის წინადადება მე მიმაჩნია დიდად საყურადღებო საგნად. ბატონებო, მე ხშირად შემხვედრია უცხოელი სტუმრების მიღება და ხშირად უთხოვნიათ ჩემთვის მეჩვენებინა ჩვენი სათავად-აზნაურო სახლი, მაგრამ მე ან რამე ნაირად გადამიცილებია მათი თხოვნა თავზედ ანა და მარტო გარედან დამინახვებია ჩვენი სახლი და შიგ კი არ შემიყვანია — მრცხვენოდა იმ სავარძლებში ჩამესხა ისინი, რომელნიც ამშვენებენ ჩვენს სათავად-აზნაურო სახლს, და მეჩვენებინა ის კანცელარია, რომელიც სოფლის კანცელარიას უფრო მოგვაგონებს, ვინემ გუბერნიის წარჩინებულ წოდების საკრებულო სახლს. გარდა ამისა, ჩვენ დეპუტატთა საკრებულოს მოხელენი ვერ არიან საკმაოდ მომზადებულნი ზნეობრივად და გონებრივად, სწორედ იმიტომ, რომ არ ვიმეტებთ ორიოდე გროშს მეტს, რომ უკეთესი კაცები მოვიწვიოთ და ვამსახუროთ ჩვენს საქმეს. მართალია, მომატებულია დიდად გარდასახადი ბ. ღოღობერიძის წინადადებით, მაგრამ არსებითად კი არ გვემატება-რა, ამიტომ რომ ამდენ ხანს ხარჯში არ ყოფილა სამი ახლად შემოერთებული მაზრა (ლეჩხუმის, ზუგდიდის და სენაკის), კანონის ძალით ნება გვაქვს პირად აზნაურთ გავაწეროთ გარდასახადი, ასე რომ დღეს არსებული გარდასახადი სრულიადაც არ გვემატება. ყოველივე ამის მიხედვით, სრული დარწმუნებული ვარ, კრება მიიღებს ამ წინადადებას ერთხმად.

**ნიკ. თაყაიშვილი.** ბატონებო, მე სულითა და გულით ვარ თანახმა გარდასახადი მოგვემატოს, ოღონდ კი ისეთი კაცები მოვიწვიოთ, რომ საქმე რიგიანად წაიყვანონ. სახელმწიფო გარდასახადის საქმემ სწორედ საყურადღებოა. ერთს წელიწადში გვახდევინებენ ორჯელ და სამჯერ ერთსა და იმავე გარდასახადს. მივალთ მაზრის სამართველოში და ვთხოვთ აგვიხსნან რა მიზეზით გვემართება ეს; იქ გვეუბნებიან,—ჩვენ არ ვიცით ხაზინაში ეცოდინებათო. ხაზინაში მივდივართ, გვეუბნებიან სახაზინო პალატაში იციანო, სახაზინო პალატიდან გვაგზავნიან სახაზინო პალატის თავმჯდომარესთან, იქ ის ისევ მაზრის სამართველოში გვგზავნის და ისევ ის გზა უნდა გავიაროთ, რომელიც უკვე ერთხელ გავიარეთ და შეტყობით კი მაინც ვერას ვტყობულობთ, და ნეტავი კი ისეთს კაცებს ავირჩევდეთ, რომელნიც ხეირიანად ამ ერთ საქმეს გაგვიკეთებდნენ, თორემ ხარჯის მომატებას ვინა სწუხს!

**თავ. კ. ღორთქიფანიძე.** ბ-ნმა დუმბაძემ მშვენივრად დაახასიათა, რომ მიუცილებელია დეპუტატთა საკრებულოს ჰქონდეს თავისი სახლი. რომ მივაღწიოთ ამ საგანს, საჭიროა, იმ ფულიდან, რომელიც უმაღლესის ბრძანებით დაგვიბრუნდა, ვისესხოთ ფული და იმით ავაშენოთ სახლი და მერე წლიურის გადასახადით შევავსოთ თავნი და სარგებელი.... ეგ ფული ვისესხოთ და ავაშენოთ დეპუტატთა საკრებულოს სახლი და როცა 10—12 წლის შემდეგ ფული დაგვიბრუნდება ამ გვარად გავანაწილოთ (ბატონო, მაგაზედ არ არის ეხლა ლაპარაკი—ისმის ხმა. თავმჯდომარე—არ არის ამაზე ლაპარაკი).

**თ. კ. ღორთქიფანიძე.** გთხოვთ დამანებოთ ლაპარაკი. ყველა ლაპარაკობთ და მე ხმას არ მაღებინებთ. გავანაწილოთ ეგ ფული იმ გვარად, რომ $^1/_3$ უმაღლესის განათლებისათვის, ევროპაში და რუსეთში გასაგზავნ ყმაწვილთა სტიპენდიებად მოვიხმაროთ; $^1/_3$ თავად-აზნ. სკოლას დაუნიშნოთ, რადგან შესაძლოა ის $60^0/_0$ ბანკის მოგებიდან, რომელიც მაგ აზრით არის გადადებული არ ეყოს სკოლას, ამიტომ ეგ $^1/_3$ ამ აზრით მოვიხმაროთ ერთი წილი, ხოლო მეორე წილით ამ სკოლის მასწავლებელთა პენსიის კასა დავაარსოთ. ხოლო მესამე $^1/_3$ თავად-აზნაურთა წარმომადგენლობის საჭიროებისათვის პეტერბურგში დეპუტაციების გასაგზავნად და სხვა მსგავსი საჭიროებისათვის. ეს თავნი (400000 მანეთი) ხელ-უხლებლად უნდა დარჩეს და ამ თავნიდან ვისესხოთ

ფული სათავად-აზნაურო სახლის ასაშენებლად.

კრებამ ერთ ხმად მიიღო ბ-ნ გ. ლოლაბერიძის წინადადება, შესახებ შტატების მომატებისა დეპუტატთა საკრებულოს მოხელეთათვის.

---

# დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

9 მაისს

**ხარკოვი.** სამთო მრეწველთა კრებამ დაადგინა დააარსოს მუშების საურთიერთო უბედურ შემთხვევათაგან დამზღვევი საზოგადოება.

**ლონდონი.** ცნობა, ვითომც ინგლისის მთავრობამ დეპეშა მიიღო კრიუგერისაგან მშვიდობიანობის ჩამოგდების შესახებ, არ გამართლდა.

**ვაშინგტონი.** გეიმ გამოაქვეყნა ანგარიში, რომელშიაც აღწერილია, თუ როგორ მიიღო და რა უთხრა მაკ-კინლეიმ ბურების დესპანთ. ანგარიშის დასასრულ გეი ამბობს: „შეიძლება ვთქვათ, რომ პრეზიდენტმა მოიმოქმედა ყოველივე, რაც კი შეიძლებოდა, ომის შეწყვეტისათვის. პრეზიდენტმა აღასრულა თვისი მოვალეობა: ერთის მხრით მტკიცედ დაიცვა ნეიტრალიტეტი და მორეს მხრით, როდესაც შემთხვევა იყო, ორივე მებრძოლთ გამოუცხადა—მზად ვარ შუამავლობა გავსწიოვო. პრეზიდენტი დარწმუნებულია, რომ ეხლანდელ პირობათა მიხედვით მხოლოდ ერთი გზა დარჩა საქმის შველისათვის: მიუდგომლობა და ნეიტრალიტეტი. ამ გზის დატოვება ნიშნავს უარყოფას ჩვენის ტრადიციებისას და ინტერესებისას; ამ გზის დატოვებას შეიძლება მოჰყვეს ისეთი შედეგი, რომელსაც ვერ შეურიგდება ვერც პრეზიდენტი, ვერც შეერთებულ შტატების ერი“.

**ლორენცო-მარკეზი.** ბურებმა დაიწყეს გახიზვნა პრეტორიიდან. ქალებსა და ბავშვებს ჰგზავნიან რკინის გზით მახატსდორპში, რომელიც სძევს ლეიდენბურგისაკენ მიმავალ გზაზე.

**პეკინი.** ვეი-ხაი-ვეის გამიჯვნა მშვიდობიანად დასრულდა; გამიჯვნაში ჩინეთის კომისრებს არ მიუღიათ მონაწილეობა.

**ვენა.** ავსტრიის დელეგაციის საბიუჯეტო კომისიამ დაამტკიცა გარეშე საქმეთა სამინისტროს ხარჯთ-აღრიცხვა და დაადგინა გამოუცხადოს გოლუხოვსკის ნდობა და მადლობა. კომისიის უმრავლესობამ კმაყოფილება გამოაცხადა იმის გამო, რომ რუსეთთან ავსტრო-უნგრეთს კეთილი განწყობილება აქვსო.

**კრონშტადტი.** დევეტი იმ აზრისაა, რომ უმჯობესი იქნება დავნებდეთ ინგლისსაო, თუ ხელსაყრელი პირობანი იქნებაო; ბოტი კი ურჩევს მთავრობას,—განვაგრძოთ ომიო. ამბობენ, რომ ბურები თავს ანებებენ გარრისმიტს და მიდიან ჩრდილოეთისაკენ. ვანერენის გასავალი თავისუფალია; ბოტას გასავალს იცავს ბურების პატარა რაზმი.

**ლონდონი.** ახალშენთა სამინისტროს რამდენიმე დღეა აღარ მოსვლია ცნობა კუმასის გუბერნატორისაგან.

**პეკინი.** დატუსაღებულია ექვსი ხელმძღვანელი „დიდი მუშტის“ პარტიისა. ამბოხებელთა წინააღმდეგ გაიგზავნა ჯარები, რომელთაც ნაბრძანები აქვთ სასტიკად მოეპყრან აჯანყებულთ და დაამშვიდონ აღშფოთებული ოლქები.

**ვაშინგტონი.** საზღვაო მინისტრმა ბრძანა ისევ დაარსდეს ევროპაში სადგური ფლოტისათვისო. ჯერ-ჯერობით ევროპის საზღვრებში ერთი გემია ამერიკელებისა; მას მალე მიემატება სხვებიც.

**ბერლინი.** სეიმმა გადასწყვიტა ამორიცხოს მორიგ საქმეებიდან ჰეინცეს კანონი და მის მაგიერ შეუდგა განხილვას გომპეშის პროექტისა იმავე საქმის შესახებ. გომპეშის პროექტი მიღებულია; მის წინააღმდეგ იყვნენ სოციალ-დემოკრატები და პროგრესისტები.

**ლონდონი.** რობერტსი იტყობინება, რომ მეგონი 5 მაისს შეიდა მეფკინგში ცხარე ბრძოლის შემდეგ, რომელიც მას მოუხდა 1500 ბურთან მეფკინგიდან 9 მილის მანძილზეო. ბურები 5 საათის ცხარე ბრძოლის შემდეგ უკუგდებულ იქმნენ. მეგონის მხარი მისცა კანადის არტილერიის რაზმმა. ინგლისელებმა დაჰკარგეს 30 კაცი. ბურებს ბევრი ჰყავთ მოკლულ-დაჭრილი.

**ჰააგა.** აქ არ მიუღიათ ოფიციალური ცნობა ჰოლანდიელ მატროსების და პორტუგალიის პოლიციელების შეტაკების შესახებ. როგორც ჰფიქრობენ, მცირე შემთხვევა უნდა ყოფილიყო.

**კონსტანტინეპოლი.** შესდგა პირველი მოსამზადებელი კრება ელჩებისა, რომელმაც უნდა განიხილოს საბერძნეთისა და ოსმალეთის შუა მომხდარი უთანხმოება საკონსულო კონვენციის შესახებ.

10 მაისს.

**პეტერბურგი.** სამხღვარ გარეთიდან მობრძანდა პეტერბურგს დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის ძე.

**რიო-ჟანეირო.** ოფიციალურად მტკიცდება, რომ შავი ჭირი გაჩნდა.

**პრეტორია.** დაინიშნა კომიტეტი, რომელმაც უნდა იზრუნოს ბავშვებსა და დედაკაცებზე. ჰოლლანდიის მთავრობას გამოეცხადა რათა მიიღოს ღონისძიება თავის ქვეშევრდომების დასაცველად.

**ბერნი.** წინადადება აღძრეს, რომ მიღებულ იქმნეს ხელ მოწერილი გააგაში 1899 წ. მკათათვეს კონვენცია, მე-60 და მეათე მუხლის გარდა, რომლის ძალით ჟენევის კონვენცია გავრცელებულია საზღვაო ომზედაც.

**ჰააგა.** გადაიდოდ მილიონ ნახევარი ჰულდენი ახალი თოფების სასყიდლად ჯარისთვის.

**ბაქო.** რადგან ნიაღვრებმა ჩამორეცხა რკინის გზის ლიანდაგი, ყველა მატარებლების მისვლა-მოსვლა შეჩერებულია სიმის დღით. რადგან ნიაღვრებმა ჩამორეცხა გზა ძველ სამურზე, ვლადიკავკავის რკინის გზის ნაწილზე, დერბენტ-პეტროვსკამდე, მატარებლების მისვლა-მოსვლა შეწყვეტილია იმ დრომდე, ვიდრე ამას გამოაცხადებენ.

**ნიუ კესტლი.** ბულლერი იუწყება, რომ მეტუენისაგან მივიღე ცნობაო, რომ, როდესაც ამხედრებული ქვეითი ჯარი ნიუ-კესტლისაკენ მიდიოდა, ჩასაფრებული ბურები თავს დაეცნენ მას და 62 კაცი მოუკლეს და დაუჭრესო. მეტუენი უკან დაბრუნდა სურსათისათვის და დღეს ისევ გაემგზავრა ნიუ-კესტლისაკენ. ბულლერმა უბრძანა ბეტუნს, წავიდეს 5000 კაცით ნკუტისაკენ, რომელსაც მტერმა თავი დაანება.

**კაპშტადტი.** ინგლისელები შევიდნენ ფერეინგონგში, სადაც მდ. ვაალზე ხიდი ხელუხლებლად ნახეს. მათ ხელში ჩაიგდეს 27 ლოკომოტივი ორანჟეს რესპუბლიკისა და ტრანსვაალისა.

**ვაშინგტონი.** ბურების კომისიის წევრებმა განაცხადეს, რომ უკეთუ მაკ-კინლიემ განიმეორა ის, რაც გეიმ გამოაცხადა, იგინი პირდაპირ ამერიკის ერს მიჰმართვენ, რათა მან აიძულოს მმართებლობა მათი სურვილი დააკმაყოფილოს.

**ლონდონი.** ბროდრიკმა აუწყა პალატას, რომ მოლაპარაკება ჩინეთის მართებლობის წინადადების შესახებ დმოენის ტარიფების შეცვლის გამო პეკინში სოხდება. ამ მოლაპარაკებაში მიიღებენ მონაწილეობას მცოდნე კაცები. საშუალება იქნება მიღებული, რათა დაცული იქმნას ინგლისის სავაჭრო ინტერესები.

**ვაშინგტონი.** ბურების დესპანი მიიღო დღეს მაკ-კინლეიმ არა ოფიციალურად. როდესაც ლაპარაკი ჩამოვარდა კრიუგერზე, მაკ-კინლეიმ გამოუცხადა დესპანთ, რომ ამერიკა ვერ ჩაერევა ომშიო; ამასთანავე მაკ-კინლეიმ სთქვა, რომ ამერიკის წინადადება შუამავლობის შესახებ ინგლისმა უარჰყოო.

**პარიზი.** პალატა. პასუხად დაკითხვაზე, თუ როგორ დასრულდა საქალაქო არჩევნებიო, ვალდკემა სთქვა, რომ არასოდეს ასე არ გაუმარჯვნიათ რესპუბლიკელთაო; რაც შეეხება პარიზს, აქ არჩევნების ახლანდელი შედეგი ცუდლუტობამ გამოიწვიაო (ისმის პროტესტი ნაციონალისტებისა). ვალდეკი უმატებს, რომ დრეიფუსის საქმის აღორძინებით ჰსურდათ ხელი შეეშალათ რესპუბლიკელებისათვის, მაგრამ მთავრობა, რომელსაც დამშვიდება უნდა ქვეყნისა, არ დაარღვევს კანონს ვალდეკი ათავებს სიტყვას და თხოულობს, რომ მთავრობას ნდობა გამოეცხადოს. რიბო აცხადებს, რომ არჩევნები დასრულდა რესპუბლიკელების გამარჯვებით და არა მთავრობის. ცენტრი თხოულობს—მორიგ საქმეების განხილვას შევუდგეთო; ვალდეკი იმეორებს—ნდობა გამოგვიცხადეთო. მორიგ საქმეებზე გადასვლა პალატამ უარჰყო 298 ხმით, წინააღმდეგ 249-სა. ცოტაოდენი კამათის შემდეგ პალატა ნდობას უცხადებს სამინისტროს 286 ხმით, წინააღმდეგ 237-სა.

დრ. რედ. **ალ. ჭყონია**

---

# გამოსადეგი ცნობანი

**ნიხრი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ხორცი ძროხისა | 1 | გ. | —10 | კ. |
| სუკი . . . . | 1 | » | —15 | კ. |
| » ცხვრისა . | » | » | —11 | კ. |
| » კამეჩისა. . | » | » | — 5 | კ. |
| » ღორისა. . | » | » | — 8 | კ. |
| » ღორის ბარკალი სალორეთი . | 1 | » | —10 | კ. |

(ძროხისა და ცხვრის ხორცს ის ფერი ბეჭედი ადევს, კამეჩს—მწვანე, ღორს—დამღა).

პური ფურნისა I ხარ. 1 გ. 5 კ.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| » | » | II | » | » | » | $3^1/_2$ » |
| » | » | III | » | » | » | 3 » |
| იგივე ოორნისა | | I | » | » | » | 5 » |
| » | » | II | » | » | » | 4 » |
| » | » | III | » | » | » | $3^1/_2$ » |
| ლაგაში ჟჟ. მამ. | | I | » | » | » | 6 » |
| » | » | II | » | » | » | 4 » |

---

### ტფილისის ბაზრები:

გაიყიდა მეიდნებზე: კოჭზალზე,

| | მ. | კ. | მ. | კ., |
|---|---|---|---|---|
| ხორბალი საუკ. ფუთი. | 1 | 1 30 | 1 | 20 |
| ხორ. წითელი. . . | 1 | 1 15 | — | |
| ქერი . . . . . . | 1 | — 88 | — | 85 |
| სიმინდი . . . . . | 1 | — 70 | — | — |
| ფქვილი სოფლისა. | 1 | 1 20 | — | — |
| » უფრო მდარე. | 1 | 1 10 | — | — |
| კომბოსტო. . . . | 1 | — 60 | — | — |
| კარტოფილი. . . . | 1 | — 60 | — | — |
| ხავხვი . . . . . | 1 | — 50 | — | — |
| თივა . . . . . . | 1 | — 60 | — | — |
| ბზე . . . . . . | 1 | — 28 | — | — |

შუშა რცხილისა 1 სრული საჟ. საწყობებში 38 მ., შუშა ნარევი 36 მ. ცხვარი თუშისა 3 მ. 50 კ.-დან 5-მდე, ცხვარი თათრული 3 მ. 8 კაპეიკიდან 4 მ. 60 კ.-მდე, ღორი ადგილობრივი ჯიშისა 8.-დამ მ. 50 კ.-მდე, ძროხა და ხარი აქაური საკლავი 30 მ.-დან 45 მ.-მდე, ხარი მუსაბმელი,—კამეჩი—მ. -მდე, კამეჩი საკლავი 26 მ.-დამ 34 მან., შესაბმელი— მ.

---

### რუსეთის ბაზრები:

ფქვილი როსტოვში.

| ხარისხი. | ხარისხი. |
|---|---|
| № 0—9 მ. 25 კ. | № 4—7 » 25 » |
| № 1—8 » 50 » | № 5—7 » — » |
| № 2—8 » — » | № 6—6 » 75 » |
| № 3—7 » 50 » | № 7—6 » 25 » |

სიმინდი (ნოვოროსსიაში) 1 ფ. 54 კ. 41 კ. ქერი როსტოვში 66 კ. 62 კ.-მდე ნოვოროსსიაში 68 კ. 69 კაპიკამდე.

მოტანა ტფილისამდე 1 ფ. 87 კ.

შაქარი იქვე ფუთი 5 მან. 70 კ.

„ფშხვნილი „ 4 „ 80 „

მატყლი ისპანიური, თეთრი ფ. 10 მ.—11 მ. 85 კ., მატყლი 10% შავ-ნარევი — ადგილობრივი—3 მ. 50 კ.—4 მ. 10 კ., გარეცხილი 8 მ. 37 კ. ისპანიის ჯიშის ცხვრის ტყავი თითო 2 მ. 60 კ.-მდე.

---

### საავადმყოფოები

**ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო**, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში —12 მ. თვ. ცალკე ოთახში—60 მ. თვ.

**ქალაქის სამკურნალო.** მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიფოვისა. რჩევა 30 კაპ. ღარიბთათვის რჩევაც და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი.

**ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი: ავლაბრისა**, კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი მირაქოვი.

**კუკიისა**, ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა. ექიმი ნ. კასუმოვი.

**ხარფუხისა**, ვორონცოვის ქუჩა, სახლი იედიგაროვისა. ექიმი ტერ-ასატუროვი.

**თვალების სამკურნალო**, ელისაბედის ქუჩა, სახლი ჩითახოვისა. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას. გამგე ექიმი გ. ტარსაიძე.

**ქალაქის საავადმყოფო სულით-ავადმყოფთათვის.** უფასო—იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონესა ტიზენგაუზენისა და ეჯუბოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანი. თვეში ღირს 12 მან. ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

ქალაქის უფასო ღამე თავ-შესაფარი სახლები:

1) ვორონცოვის ქუჩა, მექქსე ნაწილი, სახლი მელიქიანცისა.

2) დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.

---

# განცხადებანი

**ტფილისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს**, რომ, მის თანადასწრებით, შუადღის 12 საათზე, ამა წლის 12 მაისს, დანიშნულია ვაჭრობა სამუშაოზე ელისაბედის ქუჩის გასაკეთებლად დიდუბიდან გერმანელთა ახალშენამდე—1000 მანათისა.

ვისაც სურს ვაჭრობაში მონაწილეობა მიიღოს, შეუძლიან განიხილოს დაწვრილებითი პირობები გამგეობის მეოთხე განყოფილებაში ყოველდღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3-მდე. 6. 3—3

---


## ვექილი
**ა. მ. ახნაზაროვი**

გადავიდა ნიკოლოზის ქუჩაზე, სახლი № 42.

დილის 8—10 საათ. და საღამ. 6—8 საათამდის. (10—5)



წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობის

## გამგეობისაგან.

წერილებით, თუ სიტყვით მრავალჯერ გამოცხადებულის საზოგადოების სურვილის თანხმად ამხანაგობის გამგეობამ მოსახერხებლადა სცნო, რამდენადაც კი შეიძლება, ფასი დააკლოს მის მიერ გამოცემულ წიგნებს.

**წიგნები გაიყიდება შემდეგ ფასად:**

| | მან. კაპ. |
|---|---|
| თხზულებანი ალ. ყაზბეგისა ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი ოთხი ტომი, თითო ტომი ცალკე | 1— » |
| თხზ. ი. დავითაშვილისა სურათით, ბიოგრაფიით და ფაქსიმილეთი | «—50 |
| დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა ლეგენდა-პოემა ბაჩანასი | «—10 |
| ბნელო, მოთხრობა ნ. მელანიასი (პაევდონიმი) | «—20 |
| თხზულებანი ი. ჭავჭავაძისა, ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი: I ტომი | «—70 |
| იგივე II ტომი | «—60 |
| იგივე III ტომი | «—60 |
| იგივე IV ტომი (ორ წიგნად) | «—80 |
| სოფლის კუნწულა დ. მაჩხანელისა | «—10 |
| თხზულებანი აკაკისა I ტომი | «—60 |
| იგივე II ტომი | «—60 |
| თხზულებანი რ. ერისთავისა I ტომი | «—60 |
| სიბრძნე-სიცრუვე საბა-ორბელიანისა | «—40 |
| საქართველო და მისი წარსული დრო პოტოსი | «—20 |
| აივენგო ვალტერ სკოტისა | «—50 |
| აღა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ტფილისში | «—15 |
| გაბრიელ ეპისკოპოსის ბიოგრაფია სურათით | «—15 |
| სამზარეულო ქართულის და ევროპიულის საჭმელებისა | 1—20 |
| ღვინის დაყენება პროფესორის გ. პეტრიაშვილისა | 1—50 |
| რძე მისივე | 1—50 |
| სიბრძე ბალავარისა | «—30 |
| ცეცხლითა და მახვილითა | «—80 |
| დასტურ-ლამა | «—10 |

ვინც გაიწერს წიგნებს, ფოსტის ხარჯი დაედება წონის მიხედვით გაგზავნის დროს (наложеннымъ платежомъ) წიგნების ფასი 25% წინადვე უნდა იქმნას გაგზავნილი.

წიგნები ამხანაგობის კიოსკში იყიდება, ქ. ტფილისში, ლორის-მელიქოვის ქუჩაზე.

ქალაქ გარეშე მცხოვრებთ ფული უნდა გამოგზავნონ შემდეგის ადრესით: Тифлисъ, Грузинское Издательское Товарищество.



ქართველთა ამხანაგობის, წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების და კ. თავართქილაძის წიგნის მაღაზიებში ისყიდება

## გლეხი-კაცის ისტორია,

ერკმან-შატრიანისა:

**სრული ისტორია საფრანგეთის დიდი რევოლიუციისა**

| | |
|---|---|
| ნაწილი I საერო კრება | 60 კ. |
| იგივე კარგ ქაღალდზე | 75 „ |
| ნაწილი II სამშობლოს განსაცდელი | 60 „ |
| იგივე კარგ ქაღალდზე | 75 „ |
| ნაწილი III წელიწადი პირველი რესპუბლიკისა და ნაწილი IV მამულიშვილი ბონაპარტი | 1 მ. 20 „ |
| იგივე კარგ ქაღალდზე | 1 მ. 50 „ |
| ბრჭყალები, დრამა 3 მოქმ. პოლ-ერვიესი | 30 „ |
| ივდითი, ტრაგედია 5 მოქმ. ჯიაკომეტისა | 30 „ |

**პირველი ნაწილი ცალკე აღარ იყიდება**


გამომც. ზ. ჭიჭინაძე.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 10 Мая, 1900 г. სტამბა წიგნების გამომცემ. ქართ. ამხ—სა. ვანქის დიდი ქუჩა, № 27.